ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-05/46

ქ. ბათუმი 07/04/2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, შემდგომში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ გოგუაძის სახით

და მეორეს მხრივ, შპს „შემდუღებელთა საზოგადოება", შემდგომში ,,მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის გივი კახიშვილი სახით,

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველის თანამშრომელს (ზურაბ ფუტკარაძე) გაუწიოს სატრენინგო მომსახურება (თემა: რადიაციული უსაფრთხოება ხანგრძლივობა: 24 საათი), დანაყოფის კოდი - 80500000, შემდეგში ,,შესყიდვის ობიექტი/მომსახურება", ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. მომსახურების გაწევის ვადა: 2023 წლის 30 მაისამდე.

1.3. ტრენინგის დასრულების შემდეგ მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის თანამშრომელზე კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება, დაფინანსების წყარო

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 295,00 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება ითვალისწინებს როგორც მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.3. დაფინანსების წყარო: აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შეთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - ზურაბ ფუტკარაძე) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, კერძოდ, გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ვალდებულების შესრულების ვადების დაცვის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

5.2. ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის უფროსის მოადგილე ვახტანგ გოგუაძე და საგამოცდო ლაბორატორიის უფროსის მოადგილე - ხარისხის მენეჯერი სოფიკო ბაზიაშვილი.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

7.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას ანა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ჯარიმის სახით, ერთჯერადად, სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	შპს „შემდუღებელთა საზოგადოება"
საიდენტიფიკაციო კოდი: 245645235	საიდენტიფიკაციო კოდი: 404886575
ელ. ფოსტა: Samebalab@gmail.com	ელ. ფოსტა: tamriko.mikhailova@gmail.com
მის: ქ. ბათუმი, სვიშევსკის ქ.#80	მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N41
ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს თიბისი ბანკი
კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი - TBCBGE22
მიმღების ანგარიში: 740347519	ა/ა GE57TB7908036020100005 GEL
ცენტრის უფროსის მ.შ : ვახტანგ გოგუაძე	**დირექტორი: გივი კახიშვილი**
---	---